

კოოპერატივები ახალი გზა სოფლის მეურნეობაში

მართალია, საქართველოს

მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი

თავისი შემოსავლის უმეტეს ნაწილს სოფლის

მეურნეობიდან იღებს, რეალურად სექტორს მშპ-ში 10%-ზე

ნაკლები წილი შეაქვს. ამის მიზეზია, ძირითადად, წარმოების დაბალი ეფექტიანობა, რაც

გამონვეულია უმთავრესად იმით, რომ ცოტა მიწას ჰყავს მესაკუთრე და ნაკლებად არის

დამკვიდრებული ფერმერობის თანამედროვე მეთოდები. ევროკავშირის დახმარებით

საქართველოს ხელისუფლებამ წამოიწყო სოფლის მეურნეობის სექტორში არსებული ყველაზე

პრობლემური ნაკლოვანებების გამოსწორების პროცესი. ხელისუფლების მიზანია, დაარსდეს

160 კოოპერატივი - მცირე ფერმერების მიერ ნებაყოფლობით საფუძველზე შექმნილი,

ბიზნესზე ორიენტირებული ორგანიზაციები, რომლებმაც, როგორც მოსალოდნელია, უნდა

განავითარონ მასშტაბზე ორიენტირებული ეკონომიკა, გააუმჯობესონ ბაზართან კავშირები და

გაზარდონ ეფექტიანობა, ეს ყველაფერი კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას.

ევროკავშირის სამეგობლო საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტი ენჯია ქალთა კოოპერატივს,

რომელსაც მიღებული აქვს ევროკავშირის გრანტი პროექტის განსახორციელებლად, და

მოამბადა ეს მასალა.

www.enpi-info.eu

ტექსტის ავტორი მაია ჩიტაია

ფოტოები AFP©EU/Neighborhood Info Centre

■ სოფლის მოსახლეობის თითქმის 74% ერთ პექტარზე ნაკლები ფართობის მიწის ნაკვეთებს ამუშავებს

ჰუბრიკაცია ან ნაწილად ეხება ევროკავშირის ან ევროკავშირის ფინანსური მხარხარების. ევროკავშირის მხარხარების ან ანის პასუხისმგებელი

საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი თავისი შემოსავლის უმეტეს ნაწილს სოფლის მეურნეობიდან იღებს, ხოლო სოფლის მოსახლეობის უმეტესობას წარმოადგენენ ფერმერები, რომლებიც მაქსიმალურად ცდილობენ, როგორც გაზარდონ მოსავალი ან წარმოება, რათა მოახერხონ საკუთარი ოჯახების გამოკვება. მათი გამომუშავება იმდენად დაბალია, რომ ისინი ძნელად თუ ახერხებენ რაიმე მნიშვნელოვანი ოდენობის საქონლის გაყიდვას ბაზარზე. რეალურად სექტორს ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში 10%-ზე ნაკლები წილი შეაქვს. სექტორში დაბალი ეფექტიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ის არის, რომ ცოტა მიწას ჰყავს მესაკუთრე და ნაკლებად არის დამკვიდრებული ფერმერობის

ევროკავშირის სამეგობლო საინფორმაციო ცენტრის ფიჩი ნომერი 122 ეს არის ევროკავშირის ჩვეულებრივი ჰეგამის მიერ დაფინანსებული ჰეგამების შესახებ ფიჩების სერია. ჩემი მიზანმიმართული ადგილზე ევროკავშირის და ფეგამების მიერ ან ევროკავშირის სამეგობლო საინფორმაციო ცენტრის მიერ.

© 2014 ევროკავშირის სამეგობლო საინფორმაციო ცენტრი





ადგილობრივი ფერმერები საკუთარ მიწაზე მუშაობენ

თანამედროვე მეთოდები. სოფლის მოსახლეობის თითქმის 74% ერთ ჰექტარზე ნაკლები ფართობის მიწის ნაკვეთებს ამუშავებს და ამ მცირე მწარმოებლების ეფექტიანობა და უნარი, იყვნენ ბაზრის წარმატებული მოთამაშეები, ძალზე შეზღუდულია. ევროკავშირის დახმარებით, ახალი კანონის მეშვეობით, რომელიც აყალიბებს ფერმერების კოოპერატივებს და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს, საქართველოს ხელისუფლება ქმნის ხელშემწყობ გარემოს ფერმერთა კოოპერატივებისათვის. 2013 წელს ევროკავშირმა და საქართველომ ხელი მოაწერეს დაფინანსების შესახებ შეთანხმებას პროგრამის

„ევროკავშირის სამეზობლო პროგრამა საქართველოში სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარებისთვის“ (ENPARD) განხორციელების მიზნით. ევროკავშირის მიერ აღნიშნული პროგრამის დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხა 40 მილიონი ევროს ტოლია, რაც პროგრამას აქცევს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში დონორების მხარდაჭერით განხორციელებულ ყველაზე მასშტაბურ პროგრამად სოფლის მეურნეობის სექტორში.

ფერმერები და სოფლის ცხოვრება საქართველოში მნიშვნელოვანია ევროკავშირისთვის

ზემოაღნიშნული პროგრამის ფარგლებში ევროკავშირმა ახლახანს ხელი მოაწერა ოთხ შეთანხმებას მცირე ფერმერთა მხარდასაჭერად. მინიჭებული იქნა 15 მილიონი ევროს თანხის გრანტები და პროექტებს ამ გრანტების მეშვეობით განახორციელებს ოთხი კონსორციუმი: Oxfam (დიდი ბრიტანეთი), Care (აგსტრია), People in Need და Mercy Corps (შოტლანდია), რისი წყალობითაც ამ პროცესში ჩაერთვება 16 ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაცია, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო ასოციაციები და აკადემიური დაწესებულებები. ტექნიკური დახმარების, შესაძლებლობათა განვითარებისა და პირდაპირი ინვესტიციების მეშვეობით პროექტები დახმარებას გაუწევს 160-მე მცირე კოოპერატივის შექმნას, სულ მცირე 3000 წევრით. ინიციატივა მოიცავს 45 რაიონს და მისი სამიზნე მთელი ქვეყანაა. „ფერმერები და სოფლის ცხოვრება საქართველოში ნამდვილად მნიშვნელოვანია ევროკავშირისთვის“, - აცხადებს ბორის იაროშევიჩი, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილე.

„ევროკავშირის სამეზობლო პროგრამა საქართველოში სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარებისთვის“ (ENPARD) ძალზე ამბიციური პროგრამაა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში არსებული ზოგიერთი სირთულის დაძლევას. პროგრამის ამოცანებს შორისაა ქვეყნის ყველა რაიონში ფერმერებისთვის საკონსულტაციო მომსახურების ხელახლა შემოღება, ასევე შესაძლებლობათა განვითარებისკენ მიმართული საქმიანობა სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის დახმარების გაწევის მიზნით. ამ კომპონენტს განახორციელებს გაერო-ს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO). პროგრამა ENPARD საქართველოს

„ფერმერები და სოფლის ცხოვრება საქართველოში ნამდვილად მნიშვნელოვანია ევროკავშირისთვის“





■ Care Österreich-ის წარმომადგენელი გიორგი ღლონტი და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილე ბორის იაროშევიჩი ხელს ართმევენ ერთმანეთს მცირე ქართული ფერმერების მხარდასაჭერი ოთხი საგრანტო შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ

მთავრობას უწევს პირდაპირ საბიუჯეტო დახმარებას სოფლის მეურნეობის სექტორის სტრატეგიის განხორციელებისათვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადასცემს ცოდნასა და ნოუ-ჰაუს. პროგრამის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია მის მიერ ბიზნესზე ორიენტირებული თანამშრომლობის - როგორც არის თანამედროვე და ბაზარზე ორიენტირებული სერვისების კოოპერატივები მცირე ფერმერებს შორის საქართველოში - ხელშეწყობა.

ასკილის რეალიზაცია წველების ქარხნისათვის კოოპერატივები, რომლებიც დაფინანსებას იღებენ, მცირე ფერმერების მიერ ნებაყოფლობით საფუძველზე შექმნილი, ბიზნესზე ორიენტირებული ორგანიზაციებია,

„გადავწყვიტეთ, ახლომდებარე ტყეებში ველური ასკილი შეგვეგროვებინა და მიგვეყიდა წველების ქარხნისათვის“

რომლებიც შეიქმნა მასშტაბზე ორიენტირებული ეკონომიკის განვითარების, ეფექტიანობის გაზრდისა და ბაზართან კავშირების გაუმჯობესების მიზნით. ფერმერების მხრიდან მოხდება საინვესტიციო მხარდაჭერის თანადაფინანსება, რაც უზრუნველყოფს მათში საკუთრების გრძობის და ვალდებულების წარმოქმნას. იძულებით გადაადგილებულ ქალთა კოოპერატივი წინამძღვრიანთკარში პროგრამა ENPARD-ის ერთ-ერთი წარმატებული წამოწყებაა.

წინამძღვრიანთკარი პატარა სოფელია თბილისიდან დასავლეთის მიმართულებით 20 კმ-ის დაშორებით და მასში იგივე პრობლემები აღინიშნება, რაც საქართველოს სოფლების უმეტესობაში. სოფელი ცუდ მდგომარეობაშია, ნახევრად დანგრეული გზებით და შენობებით და მწირი სამრეწველო პროდუქციით. წლების წინ ხელისუფლებამ ამ სოფელში ჩაასახლა შიდა ქართლის (სამხრეთ ოსეთის) რეგიონიდან იძულებით გადაადგილებული პირები და მისცა მათ მიწის პატარა ნაკვეთი.

„ჩვენ ძირითადად ბოსტნეული მოგვყავდა, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი ბავშვებიანი, დიდი ოჯახისთვის“, - ამბობს მაია გარსიძე, ქალთა კოოპერატივის ხელმძღვანელი. „ამიტომ გადავწყვიტეთ, ახლომდებარე ტყეებში შეგვეგროვებინა ველური ასკილი და მიგვეყიდა წველების ქარხნისათვის“.

ამ ინიციატივას მხარი დაუჭირა ორგანიზაცია Oxfam-მა (დიდი ბრიტანეთი), ხოლო ფინანსური დახმარება ევროკავშირმა უზრუნველყო. კოოპერატივისთვის შექმნილი იქნა ძირითადი ინსტრუმენტები, რომლებიც საჭიროა ამ ტიპის სამუშაოს ეფექტიანად შესასრულებლად, მათ სათბურებიც კი დაუდგეს. დღეს კოოპერატივს აქვს შესაძლებლობა, გამოაშროს ასკილი და ამის მეშვეობით ორჯერ მეტ ანაზღაურებას იღებს მისი გაყიდვისას.

„იმ შემოსავლით, ახლა რომ ვიღებ ჩემი სამუშაოსთვის, შემოიძლია გავიტანო ჩემი ოჯახი“, - ამბობს მაია.



■ საქართველოს მთავრობა ქმნის ხელსაყრელ გარემოს ფერმერთა კოოპერატივების ჩამოსაყალიბებლად

„იმ შემოსავლით, ახლა რომ ვიღებ ჩემი სამუშაოსთვის, შემძლია გავიტანო ჩემი ოჯახი“

რესურსების გაერთიანება

ბოლო პერიოდამდე ქართველები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის იდეას ძალიან სპეციფიკურად აღიქვამდნენ, ალბათ საბჭოეთის დროინდელი „კოლექტიური მეურნეობების“ გამოცდილებიდან გამომდინარე. მაგრამ კოლმეურნეობებს არაფერი აქვთ საერთო იმასთან, თუ როგორ ფუნქციონირებენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები ევროპაშიც და მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც. კოოპერატივი კომერციული კომპანიაა, რომლის მფლობელები არიან მისი წევრები, ამ შემთხვევაში ფერმერები. მათ საზიარო მინა კი არა აქვთ, ისინი უბრალოდ აერთიანებენ კონკრეტულ რესურსებს კონკრეტული მიზნებისათვის. კოოპერატივები აგურებია ბაზარზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის სტრუქტურაში და ალბათ ეს არის ერთადერთი გზა იმისათვის, რომ მცირე ფერმერობა შემოსავლიანი საქმიანობა იყოს. პროგრამა ENPARD-ის ფარგლებში განსახორციელებელ მთელ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას მხარდაჭერა გაენიჭა სპეციალური კოოპერატივების მეშვეობით მთელი პროცესის განმავლობაში - დაწყებული ერთობლივი წარმოებით და დამთავრებული პროდუქტების დასაწყობებით, ტრანსპორტირებით, დამუშავებით, მარკეტინგითა და გაყიდვით. ასოცირების შესახებ შეთანხმება და შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA) - შეთანხმებები, რომელთა ხელმოწერა ევროკავშირსა და საქართველოს შორის უკვე სულ რამდენიმე თვეშია მოსალოდნელი, საქართველოს დაახლოებს ევროკავშირთან არა მარტო ვაჭრობისა და შემდგომი ეკონომიკური კავშირების თვალსაზრისით, არამედ მნიშვნელოვანი ფასეულობების გაზიარების მხრივაც, როგორც არის საკმარისი ყურადღების მიპყრობა სასოფლო ტერიტორიების საჭიროებებისთვის.

ადგილობრივი ფერმერი მარიკა კონდორელაშვილი და მისი ასისტენტი საკუთარ მინაზე მუშაობენ



ENPARD

ევროკავშირის სამეზობლო პროგრამა საქართველოში სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარებისთვის

www.enpard.ge

პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოში საკვების წარმოების გაზრდას და სოფლად არსებული სიღარიბის შემცირებას. საგრანტო კომპონენტის გარდა, „ევროკავშირის სამეზობლო პროგრამა საქართველოში სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარებისთვის“ საქართველოს მთავრობას ასევე უწევს პირდაპირ საბიუჯეტო დახმარებას სოფლის მეურნეობის სექტორის სტრატეგიის განხორციელებისათვის და ხელისუფლებას გადასცემს ცოდნასა და ნოუ-ჰაუსს.

ბიუჯეტი: 40 მილიონი ევრო

განხორციელების პერიოდი: 2013 წლის მარტი - 2016 წლის მარტი

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ:

ევროკავშირის სამეზობლო საინფორმაციო ცენტრის ახალი ამბები: ENPARD www.enpi-info.eu/maineast.php?id_type=1&id=32372

ევროკავშირის სამეზობლო საინფორმაციო ცენტრის ვებგვერდი - საქართველო http://enpi-info.eu/countryeast.php?country=59&lang_id=450

ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში: ვებგვერდი http://eeas.europa.eu/delegations/georgia/index_en.htm

ევროკავშირის თანამშრომლობის პროგრამა საქართველოში: პროექტის http://ec.europa.eu/europeaid/where/neighbourhood/country-cooperation/georgia/georgia_en.htm

აღწერა ევროკავშირის სამეზობლო საინფორმაციო ცენტრის მასალა - მოდი, შეხვდეთ ევროპას ავტობუსში www.enpi-info.eu/eastportal/features/607/Let%27s-meet-Europe-on-the-bus



ევროკავშირის სამეზობლო საინფორმაციო ცენტრი არის ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ჩეილენჯი ინოვაციისა და კომუნიკაციის ზრეიქი. ხომილი რიინჭინიებულია ევროკავშირისა და მზობილი ქვეყნების ჰანჭინიონობაზე ზრეიქს ახრეილებს Action Global Communications